ცნობის ფურცელი

551 ორშაბათი, 12 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2551

ს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-
ი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში
ლდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372,

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რიგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ფთილის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—140)

რედაქციისაგან.

გაზეთი
„ცნობის ფურცელი"
1-ლ ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.
1-ლ აგვისტოდან „ „ „ 3 მ. — „

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

ყოველ დღიურ გაზეთ
„ცნობის ფურცელი"-ს

ნომრები იყიდება საქართველოს შემდეგ ადგილებში: გორს, ბორჯომს, სამტრედიას, ყვირილას, ქიათურას, ქუთაისს, ბაღდადს, ხონს, ოზურგეთს, ბათუმს, სოხუმს, ფოთს, ახალსენაკს, ზუგდიდს, სიღნაღს და თელავში. ტფილისის ყველა გამყიდავებთან. ყველგან გაზეთის ნომერი ღირს 3 კ. ხოლო სურათებიან დამატებით—5 კ. თუ ვისმეს სურს, აქ არ ჩამოთვლილ ადგილებში გაზეთების ნომრების გაყიდვა იკისროს, ვთხოვთ რედაქციას მიჰმართონ წერილით.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
აღმოუჩენს იღებენ ყოველ დღე.
ექიმები:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოხოლდევხკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.
პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.
ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
ლ. მ. მოჩინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
ბ. მ. ხოხოლდევხკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყოფრდანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ.ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

კინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ხატებიდან.

ახალი ამბავი

◆ კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე მთხოვნელებსა და სამსახურის პირთ ოთხშაბათობით მიიღებს, ნაშუადღევის 1 საათზე, მთავარ-მართებლის კანცელარიაში, ლაბორატორიის ქუჩაზე.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა **ახალი ნიხრი ხორცზე**: 1-ის ხარისხისა 11 კაპ. გირვანქა, მეორე ხარისხისა 10 კაპ. და მესამისა 7 კაპ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როგორც გაზ. „კავკაზ"-ი იტყობინება, მოსპო შემოწირულებათა შეგროვება თავ. **გ. დ. ჯამბაკურ-ორბელიანის ძეგლის** ასაგებად. სულ ამ საქმისათვის შეუგროვებიათ 2467 მან.

◆ ტფილისის მაზრის უფროსმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი სოფელი ტფილისის მაზრაში, მეტად **ანტისანიტარულ მდგომარეობაშია**. რადგან სპარსეთში ხოლერა გაჩნდა და საჭირო ღონისძიებანი იქმნან მიღებული ამ სენის ჩვენ ქვეყანაში გავრცელების წინააღმდეგ, მაზრის უფროსმა უბრძანა ყველა ბოქაულებსა და მამასახლისებს, დაუყოვნებლივ შეუდგნენ სოფლის ქუჩების, ეზოებისა და სახლების დასუფთავებას. („კავკაზ").

◆ საგუბერნიო მმართველობის ცნობებით, ტფილისის მაზრის გერმანელთა ახალშენს ელისავეტტალსა და სოფ. რუისპირში (კახეთი) **ყვავილი** გაჩენილა. საექიმო მმართველობამ სასტიკი ღონისძიებანი მიიღო სენის მოსასპობლად.

◆ **ოპერის სეზონი** ტფილისის სახაზინო თეატრში ენკენისთვის დამლევს დაიწყება. რეპერტუარში აღნიშნულია ახალი ოპერებიც, რომელნიც ტფილისში ჯერ არ დაუდგამთ: „ზაზა"—ლეონ კავალოსი, „გერმანია", „ოლეკო" და სხ.

◆ ტფილისის **საბაღოსნო სკოლას**, ეს რამდენიმე ხანია, აღებული ჰქონდა კასპში თავ. ერისთავის მამული, სადაც გამართა სანერგე და ყოველ ზაფხულობით პრაქტიკულად მებაღეობას ასწავლიდნენ. რადგანაც ამ ადგილით სარგებლობას ვადა გაუთავდა, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოში აღიძრა საკითხი ამავე მიზნისათვის გამონახონ სადმე გორისავე მაზრაში მოხერხებული ადგილი.

◆ წელს ტფილისის საბაღოსნო სკოლამ კასპის მამულში დამყნო 15,000-მდე ძირი სხვა-და-სხვა **ძვირფას ხეხილეულობისა**: რადგანაც დამყნის დროს ხელმძღვანელობა. რიგიანი ვერ გაუწევიათ დამყნელთათვის, ეს ამოდენა ნერგები მაისის თვეშივე გამხმარა. საბაღოსნო სკოლამ ამით 1000 მან. მეტი იზარალა.

◆ რამდენისამე ხნის წინად ზოგიერთ ქართველ პედაგოგის თაოსნობით შესდგა პატარა წრე და თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რანაირად აღმოუჩინონ **დახმარება ქართველ დედას შვილის აღზრდის საქმეში**, ჯერ ოჯახში და შემდეგ სკოლაში. განსაკუთრებით სახეში ჰქონდათ იმ ყმრავლესობის შვილების მდგომარეობა, რომელთაც სიღარიბე უშლის სამშობლო კუთხეს სასარგებლო წევრი აღუზარდონ. კარგა ხანს ბჭობის შემდეგ ამ პატარა წრემ გამოარკვია, რომ აუცილებლად საჭიროა შეადგინონ საზოგადოება, რომელმაც საგნად დაისახოს დახმარება მატერიალური, გონებრივ-გონებრივი მშობლებისათვის შვილის აღზრდის საქმეში. კერძო კრებამ გადასწყვიტა კიდეც შეადგინონ ასეთი საზოგადოება ტფილისში, რომელიც ამასთანავე ხელმძღვანელობას გაუწევს განყოფილებების შემწეობით პროვინციებში მცხოვრებთ. საზოგადოება გამოსცემს კარგ შინაარსიან წიგნებს, ოჯახებში სახმარებლად; გამართავს ბავშვების ზნეობრივად თუ ფიზიკურად გასაწვრთნელად გონიერს სათამაშოებს; მიაწოდებს მასალას მშობელს, თუ როგორ უნდა იზრდებოდეს და იწვრთნებოდეს ბავშვი და სხვა. საზოგადოებას აზრად აქვს აგრეთვე სწავლის დროს ღარიბთა შვილებს დახმარება გაუწიოს სწავლის ფულის გასტუმრებით, ჩაცმა-დახურვით, იაფი და მუქთი სასადილოებისა და სადგომების გამართვით და ხხვა. კრების გადაწყვეტილებით რამდენსამე კაცს დაევალა კიდეც შეადგინონ წესდების პროექტი, რომელიც ახლო მომავალში კრებამ უნდა განიხილოს და შეასწოროს და შემდეგ მთავრობას წარუდგინოს. ღარიბ მოსწავლეთა დახმარების საქმე საზოგადოებამ წარსულ წელშივე მოაწყო. ამისათვის ამოირჩია კნ. მ. ვ. ორბელიანის თავმჯდომარეობით დროებითი გამგეობის წევრ ბად—კნ. ელ. ბარათაშვილისა, კნ. ბ. მ. ამირეჯიბი, კნიაჟ. ნ. და მ. პორფირეს ასულნი ბარათაშვილები, ნ. ი. თაყაიშვილისა, ბ-ნი ა. ი. ნათაძე, ივ. გ. რატიშვილი და ივ. ნიჟარაძე. გამგეობამ პირველად ყურადღება მიაქცია ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეებს და მათთვის გამართა მუქთი სასადილო. გამგეობამ წარსულ სამოსწავლო წლის განმავლობაში გამოჰკვება მუქთად 60 ღარიბი მოსწავლე. წარსულ ზამთარში საზოგადოებამ ფეხსაცმელი უყიდა და საზამთრო ტანისამოსი შეუკერა 171 მოსწავლეს. გამგეობას აზრად აქვს ახლო მომავალში საკუთარი იაფ-ფასიანი სასადილოც გამართოს. საზოგადოების ფრიად მოსაწონარს მიზანს ყველანი დიდის ყურადღებით ექცევიან და შეწირულებას უგზავნიან თუ ფულად, თუ პურითა და თუ ღვინით. სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტმა გამგეობას წარსულ სამოსწავლო წლის განმავლობაში ასი თუმანი შესწირა; სულ სხვა-და-სხვა წყაროებიდან საზოგადოებამ მიიღო 3000 მან.

ვუსურვებთ ამ ახალსა და სიმპატიურს საზოგადოებას გაძლიერებას.

◆ შაბათს, 10 ივლისს, „ავჭალის სახალხო აუდიტორიაში", კავკასიის სამკურნალო საზოგადოების ვამგეობის დავალებით წაკითხულ იქმნა **ორი ლექცია** რუსულსა და ქართულს ენაზე იმის შესახებ, თუ ხალხმა როგორ შეინახოს თავი, რათა ხოლერა თავიდან აიცილოს. რუსულად ლექცია წაიკითხა ექიმმა ი. ე. ბუხმა, ხოლო ქართულად ვ. ს. მუსხელიშვილმა. როგორც რუსულს, ისე ქართულს ლექციას ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო. მიზეზი ის იყო, რომ ლექციის კითხვა დაიწყეს 5 საათიდან, სწორედ იმ დროს, როცა ხალხის უმრავლესობა სამუშევარშია. ლექციაზე დამსწრეთ სამკურნალო საზოგადოების მდივანმა ბ-ნმა მუხარინსკიმ დაურიგა ქართულსა და რუსულს ენაზე დაბეჭდილი ფურცლები ხოლერის შესახებ.

◆ სოფ. ქიშში (განჯის მაზრა) 5 ივლისს **მოჰკლეს შეძლებული მემამულე**—მილიონერი მახმუდ-ჰაჯი-ისმაილ-ოღლი. მკვლელი აღმოჩნდა ამავე სოფლის მკვიდრი ალი-ფაშა.

◆ როგორც ნუხიდან გვატყობინებენ, იქაურ სააბრეშუმო ქარხნებში (70 რიცხვით) **ფასები აბრეშუმზე** ძლიერ დაეცა და დამუშავებაც ქარხნებში აბრეშუმისა შემცირდა.

◆ 7 ივლისს ქ. ნუხში ნასრულ-ასაფ-ოღლიმ დაუძახა საყვარლად თავის სახლში მაჰმად-იარამედ-ოღლის და როდესაც მას ეძინა, სადანდაც მოხვდა ტყვია და მოკვდა. ეჭვი თვით ნასრულ-ასაფ-ოღლიზე მიიტანეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ ეკატერინოსლავის გუბერნიის სოფელ კამენსკიდან სწერენ „პეტ. ვედ."-ს, რომ იქაურ მომრიგებელ მოსამართლეს შემდეგი კეთილი ზომა შემოუღია გაიძვერა ვექილებისაგან ხალხის დასაცველად. განცხადება გაუკრავს სასამართლოში, რომელშიაც სწერია: „შევიტყე, რომ მომჩივან-მოპასუხენი ხშირად უვარდებიან ხელში სოფლის ვექილებს, რომელნიც უწყალოდ ჰყვლეფავენ იმათ არზების დაწერისათვის და ამიერიდან, ამ ვექილებისაგან ხალხის დასაცველად, შემდეგი წესი იქნება შემოღებული: ყველა იმათ, რომელთაც სასამართლოში საქმე აქვთ, შეუძლიათ უარზოდ, სიტყვიერად მითხრან თავიანთი საჩივარი".

◆ არხანგელსკის გუბერნიიდან სწერენ გაზ. „რუსკ. ვედ."-ს, რომ შორეულ აღმოსავლეთში ომის დაწყების შემდეგ ადმინისტრატიულ წესითა და სასოფლო ყრილობათა დადგენილებით გადასახლებულთ რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში გზავნიან, სხვათა შორის, არხანგელსკისაშიაც. მიზეზი ის არის, რომ ციმბირის გზა ჯარების გადაყვანასა და სამხედრო სურსათ-მასალის გადაზიდვას უნდება. არხანგელსკის გუბერნიაში მრავალი ხალხია გაგზავნილი დასასახლებლად, რასაც უკვე სამწუხარო შედეგი მოჰყოლია ადგილობრივ მცხოვრებთათვის. საფოსტო გზების მოხელეთ მოსვენება აღარა აქვთ, რადგან სულ გადასახლებულთა გზავნას უნდებიან; გლეხები, რომელთა ქოხებში აყენებენ ტუსაღებს ღამის გასათევად, ახლა უარზე დგანან, ტუსაღთა სიმრავლის გამო. ყველაზე უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში სოფლის დადგენილებით განძევებულნი არიან, რადგან იმათ ხაზინა არავითარ შემწეობას არ აძლევს; სამუშაოსაც ვერ შოულობენ, იმიტომ რომ ადგილობრივი გლეხები ეჭვის თვალით უყურებენ მათთვის არა სასურველ სტუმრებს. მრავალი ხალხია ულუკმა-პუროდ დარჩენილი არხანგელსკის გუბერნიაში, რის გამო სოფლებში ერთობ გახშირებულა ქურდობა, კაცის კვლა და ძარცვა-გლეჯა.

◆ შემოდგომაზე პეტერბურგში შესდგება კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რუსეთის რომელ ქალაქებში სრული საქალაქო დებულება შემოკლებულ დებულებად უნდა შეიცვალოს და აგრეთვე რომელ ქალაქებში უნდა იქნას შემოღებული სრული საქალაქო დებულება შემოკლებულის მაგიერ. შედგენილ იქნება აგრეთვე კომისია სადგომებზე დაწესებულ გადასახადის შესახებ საკითხის განსახილველად.

◆ ახალი შედგენილი სააფთიაკო წესდების პროექტი სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებათ გადასცეს განსახილველად. პროექტით აფთიაქში შესვლის ნება მხოლოდ იმათ მიეცემათ, რომელთაც გიმნაზიის 6 კლასი დაუსრულებიათ. აფთიაქის გახსნის უფლება მხოლოდ საქალაქო, საერობო და სხვა საზოგადო დაწესებულებათ ექნება. პროექტში არაფერი არ არის ნათქვამი აფთიაქებში ქალების მიღების შესახებ.

◆ პეტერბურგის ახლოს ამ ჟამად რკინის გზისათვის შუშის შპალების ქარხანას აშენებენ. ახალ დამზადებულ შუშის შპალებს დაუდებენ პეტერბურგისა და ამ ქარხნის შუა გაყვანილ რკინის გზას იმის საცდელად, თუ როგორ გაუძლებს შუშის შპალები ჩრდილოეთის სასტიკ ჰავას.

კანონით აკრძალულია რუსეთიდან ცხენების წაყვანა საზღვარ-გარედ გასასყიდათ, მაგრამ სადაც კანონია, იქ იმის თავიდან

ასაცდენად მიხვეულ მოხვეულებიც გაჩნდება ხოლმე. „ვარ. დნ.“-ი იუწყება, რომ ცხენის ვაჭრებს შემდეგი ხერხი მოუგონიათ. მოსაზღვრე გლეხებს, რომელნიც საზღვარ გარედ მიდიან სამუშაოდ, თავის ცხენებზე სვამენ და ასე გაჰყავთ ცხენები საზღვარზე, იქიდან-კი მუშები ქვეითად ბრუნდებიან.

◆ პეტერბურგში გაიხსნა ქალაქის ლომბარდების წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც დასასწრებლად ოცმა ქალაქმა გაჰგზავნა თავისი წარმომადგენელი.

◆ კიევიდან იტალიაში სამგზავროდ წასული გიმნაზიელები და მათი დირექტორი 23 ივნისს რომში მიუღია პაპის აუდიენციაზე და დირექტორთან ლათინურ ენაზე უსაუბრნია. შემდეგ თვითეულ გიმნაზიელისათვის უკითხავს მათი მოგზაურობის ამბავი.

ფოთის ქალაქის საბჭო

6 ივლისი

რადგან მაისსა და ივნისში საბჭოს მორიგი კრება, ხმოსანთა საკმაო რიცხვი გამოუცხადებლობისა გამო, არ შემდგარა, ამისათვის ამ კრებაზე ქალაქის მოურავმა ნ. ნიკოლაძემ საბჭოს 24 საგანი წარუდგენია განსახილველად. თავმჯდომარემ აუწყა საბჭოს, რომ მთავრობამ ნება დართო ქალაქს, სარგებლიან ქაღალდების გამოცემით აიღოს მესამე საობლიგაციო სესხი 2.000,000 მანეთისა, რომელიც შემდეგში საერთო საიმპერიო სანავთ-სადგურო შემოსავლიდან იქნება გასტუმრებული. ამასთანავე დაწვრილებით გააცნო საბჭოს ამ სესხის გასტუმრების გეგმა, რომელიც წინად აღებულ საობლიგაციო სესხის გასტუმრების გეგმას ეთანხმება. საბჭოს მოხსენდა, რომ მთავრობა თანხმაა მდინარე მალთაყვაზე, რომელიც ფოთს გურიასთან აერთებს, რკინის ხიდი გაკეთდეს, თუ ქალაქი ნახევარ ხარჯს იკისრებს. ამ ხიდის გასაკეთებლად მთავრობა საერობო თანხიდან 23.817 მან. და 40 კ. იძლევა, ხოლო დანარჩენი ხარჯი ქალაქმა უნდა იკისროს. საბჭომ დაადგინა, ამ დიდად საჭირო საგნის განსახორციელებლად იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ქალაქს სესხად მიეცეს ის 26.000 მანეთი, რომელიც საერთო საიმპერიო სანავთ-სადგურო შემოსვლიდან არის გადადებული მდინარე რიონისა და კაპარჭას შესაერთებელ არხის გასაყვანად, რადგან ამ არხის დანიშნულება სხვა გეგმაზე უნდა შეიცვალოს, რომლის ხარჯი შემდეგში მესამე საობლიგაციო სესხით იქნება დაფარული, ხოლო ამ არხის გასაკეთებელი ფული, რომელიც დღეს ადგილობრივ ხაზინაში გამგეობის დეპოზიტში უმოქმედოთ ინახება, ხიდს მოხმარდეს. საბჭომ განიხილა საკითხი საკათედრო ტაძრის მომავალ შენობის შესახებ. გეგმა, ინჟენერ ზელენკოს შედგენილი, მთავრობამ დაამტკიცა, მხოლოდ საქართველოს ეკსარხოსი იმ აზრისაა, რომ ფოთისათვის საჭირო არ არის ასეთ დიდ ტაძრის აგება. ეკსარხოსის აზრით, ადგილობრივ ამშენებელ კომიტეტის მიერ შეგროვილი ფული, 170,000 მანეთი, საჭიროა სხვა ეკლესიების შენობებს მოხმარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალ ტაძრის შეკეთება, რომელიც დრო გამოშვებით დიდ ხარჯს მოითხოვს, ქალაქმა უნდა იკისროსო. მართალია, ამ ხარჯის მიღება პირადად აღვუთქვი ეკსარხოსს,—მოახსენა საბჭოს ქალაქის მოურავმა,—მაგრამ ეკსარხოსი თხოულობს საბჭოს დაადგენილებას და საბჭომაც შეასრულა. განხილულ იქმნა გეგმა პოლიციის შტატის შეცვლისა. ამ გეგმის ძალით, გაუქმებულ უნდა იქმნას პოლიცმეისტრის თანაშემწისა და თარჯიმანის თანამდებობანი. გაუქმებულ თანამდებობის ხარჯი საბჭომ უმჯობესად სცნო მოჰხმარდეს პოლიციელების ჯამაგირებს. კრებამ განიხილა საკითხი ხოლერასთან საბრძოლველად სანიტარულ ზომების შემოღების შესახებ. საბჭომ დაადგინა, ამ თავითვე ყურადღება მიექცეს ქალაქის გასუფთავებას. ამისათვის საბჭომ 1000 მანეთი გადასდო და დაავალა გამგეობას, კავკაზ. სამკურნალო საზოგადოებისაგან დაიბაროს ქართულსა, სომხურსა და თათრულს ენებზე დაბეჭდილი დარიგებანი ხოლერასთან ბრძოლის შესახებ. საბჭოს მოხსენდა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების ქაღალდი. კრებამ მოისმინა ზღვაში საბანაო სახლების მოწყობის გეგმა. საბანაო ორი შენდება. ნავთ-სადგურის ჩრდილოეთით, ქალებისათვის ცალკე, ვაჟებისათვის ცალკე. ცალკე ნომერში მობანავეს გადახდება 10 კ., ხოლო საზოგადო ტანისამოსის გასახდელ დარბაზში 2 კაპ. კაცის თავზე. ამასთანვე საბჭომ განაწესა ნიხრი მეფულუგეებზედაც, ნავთ-სადგურის შუა ხანდაკიდან მოკლე გზით ჩრდილოეთის ხანდაკამდის კაცის წაყვან-წამოყვანაში 2 კ., ნაცვლად იმ უზომო ფასისა, რომელსაც დღემდის მენავეები მობანავეთ ახდევინებდნენ. ბოლოს საბჭომ განიხილა კერძო კაცთა თხოვნები და უძრავ მამულების დასაგეგმ და დამფასებელ კომისიების მოხსენებანი.

ი. იანეთელი.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივლისი.

პეტერბურგი. გენ. ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მისს უდიდებულესობას, 8 ივლისს: „სამხრეთ ფრონტზე, გაიჩოუს ჩრდილოეთით, იაპონელები განაგრძობენ სიმაგრეების აგებას. ჩვენმა მზვერავებმა სარწმუნოდ გაიგეს, რომ კანტახეს ველში, გაიჩოუს აღმოსავლეთით, იაპონელთა დიდძალი ჯარი სდგას. 6 ივლისს ჩვენმა მზვერავებმა, პორუჩიკების არეშოვისა და ზავინოვის უფროსობით, განდევნეს იაპონელთა როტა ერთ სოფლიდან კუტიაძის სამხრეთით, ხატანიდან 10 ვერსის მანძილზე, სიახატან-დაშიცაოს გზაზე. აღმოსავლეთ ფრონტზე 6 და 7 ივლისს მტერს არ გამოულაშქრნია. 4 ივლისს ღამე პოლკოვნიკის ციბულსკის რაზმს დაევალა სიბეილინის უღელტეხილის დაჭერა, სიაოკალინის უღელტეხილის ჩრდილოეთით, 4 ვერსის მანძილზე. დილის 4 საათზე რაზმმა დაიჭირა პატარა სიბეილინის უღელტეხილი და გაილაშქრა დიდ საბეილინის უღელტეხილისაკენ, სადაც იაპონელთა სადარაჯო რაზმები იდგნენ. იაპონელებმა თოფის სროლა ასტეხეს და შემდეგ იერიში მიიტანეს რუსებზე. თუმცა იაპონელები მეტნი იყვნენ, პოლკოვნიკ ციბულსკიმ თითონაც მიიტანა იერიში. იაპონელები ვერ გაუმაგრდნენ და ისევ უღელტეხილზე დაიწიეს. დილის 7 საათზე იაპონელებმა ისევ მოიტანეს იერიში ჩვენ ჯარზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ დიდის ზარალით. შემდეგ ისევ განიმეორეს იერიში, რომელიც აგრეთვე უნაყოფოდ დარჩა; იაპონელებმა ისევ უღელტეხილზე დაიწიეს, ჩვენ-კი ჩვენი პოზიციები შევგრჩა. მხოლოდ, რადგან საზოგადო ბრძანება იყო გაცემული ჯარების უკან დაწევის შესახებ, პოლკოვნიკის ციბულსკის რაზმმაც უკან დაიწია. ამ რაზმს მოუკლეს პორუჩიკი იუდინი და 46 სალდათი, დაუჭრეს კაპიტანი მიხაილოვი, შტაბს-კაპიტანი არტემიევი, პორუჩიკები—ორტაჟევსკი და ლუკინი და 182 სალდათი. უგზო-უკვლოდ დაიკარგა 6 კაცი. 5 ივლისს ხარუნჟიმ შიხევიჩმა წაართვა იაპონელთ, ტინტეისთან, თხაუანის სამხრეთით, ტრანსპორტი ხორბლით, ჩალით და ნალებით. ტრანსპორტს მცირე რაზმი მოჰყვებოდა.—ჩვენის ჯარის წინააღმდეგ, მუკდენის გზაზე, გამოილაშქრა იაპონელთა მოწინავე ორმა ბატალიონმა, 6 ივლისს, სიგოულინის უღელტეხილთან (საიმაძიდან ჩრდილოეთით, 15 ვერსის მანძილზე). ჩვენმა ყაზახებმა დაიქვეითეს და მედგრად დაუხვდნენ მტერს; შემდეგ ნელ-ნელა უკან დაიწიეს სიაოსირისაკენ. ჩვენ მოგვიკლეს ერთი ყაზახი და დაგვიჭრეს 13. იაპონელების დიდმა რაზმმა თვალსაჩინო ზარალი ნახა“.

პორტ-საიდი მოვიდა ინგლისის კრეისერი ორის ნაღმიანის გემით და წითელ ზღვაში გავიდა, რათა სავაჭრო გემები დაიცვას.

ხაბაროვსკი. ადგილობრივ გიმნაზიის შენობაში მხატვარმა სახაროვმა გამართა ომის სურათების გამოფენა. ნახევარი შემოსავალი მეომართა სასარგებლოდ არის გადადებული.—ამ დღეებში უნდა მოვიდეს წითელი ჯვრის ორი ნავი, რომლებითაც დაჭრილები მოჰყავთ.—ქალაქში სრული მშვიდობიანობაა.

ოდესსა. გუშინ ჩელიაბინსკში გაიგზავნა სამხედრო სასანიტარო მატარებელი № 24. მატარებელში, რომელიც აგებულია სამხედრო უწყების ხარჯით, 208 ადგილია მსუბუქად დაჭრილთათვის და 60 ადგილი მძიმე დაჭრილთათვის.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). რუსეთის პასუხი ინგლისის ნოტაზე გუშინ, 8 ივლისს, მოვიდა. რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ „მალაკკა“-ზე დაჭერილ საქონელს გაჩხრეკენ ხმელთა შუა ზღვის ერთ-ერთ ნავთსადგურში, ალბათ სუდსკისაში. ზარალის გადახდის შესახებ წინადადება თავის დროზე იქნება წარდგენილი ინგლისის საელჩოსაგან.—ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა, არც ერთი სამხედრო გემი არ გაუშვას ბოსფორში; ინგლისის ესკადრის ერთი რაზმი დარდანელთან გაჩერდება სადარაჯოთ.

სტამბოლი. („რეიტ. სააგ.“). ოსმალეთის მთავრობამ უბრძანა დარდანელის ციხის უფროსს, არ შემოუშვას „მალაკკა“ დარდანელში.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). 9 ივლისს დაინახეს ვლადივოსტოკის ესკადრა პროვინციის ხიტაჩის ახლოს. ესკადრა მიდიოდა ნაპირიდან 80 მილის მანძილზე სამხრეთისაკენ.

ჯიდდა. („რეიტ. სააგ.“). 8 ივლისს აქ იყო კრეისერი „პეტერბურგი“.

ტოკიო. 9 ივლისს დაინახეს რუსეთის კრეისერები იამადის აღმოსავლეთით, 40 მილის მანძილზე, კუნძულ ხონდოს აღმოსავლეთ სანაპიროსთან. კრეისერები სამხრეთისკენ მიდიოდნენ.

ტოკიო. 10 ივლისი („რეიტ. სააგ.“). ნაშუადღევს 3 საათზე ისმოდა ზარბაზნების გრიალი გაშლილ ზღვაში, ურაგას ახლოს, იოკოგამას ყურეს შესავალთან.

11 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მისს უდიდებულესობას, 9 ივლისს: „სამხრეთ ფრონტზე და სიუიანიდან მიმავალ გზებზე სიწყნარეა. არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ჩემი ბრძანებით ჯარმა გამოილაშქრა თხაუანიდან აღმოსავლეთისკენ, ჩინდიაპუზას მიმავალ საეტაპო გზის გაყოლებაზე, აგრეთვე სამხრეთის მხარეზე სუარიანზისკენ, მდინარე ლანხეს გაყოლებაზე. როცა რაზმმა ზემო აღნიშნულ ადგილებს მიაღწია, 9 ივლისს მოახდინა დაზვერვა და პატარა რაზმებით შეავიწროვა მტერი. 9 ივლისს ჩვენი რაზმი ისევ წინ გაემართა. მტრის მოწინავე რაზმებმა დაიწიეს თავის სიმაგრეებისკენ მთებში, იმ გზის აღმოსავლეთით, რომელიც მაკუმენზიდან ლახოლინის უღელტეხილისკენ მიდის. დილის $9^{1}/_{2}$ საათზე ჩვენმა ბატარეამ ყუმბარები დაუშინა უღელტეხილსა და სამლოცველოს. ჩვენმა როტებმა გაიარეს საეტაპო გზის გაყოლებაზე $^{3}/_{4}$ ვერსი და მტერს არ შეხვედრიან. 9 ივლისს ნაშუადღევიდან ახალი მოხსენება აღარ მიგვიღია. 8 ივლისს სამი ბატალიონისგან შემდგარმა იაპონელთა რაზმმა დაიჭირა სიაოსირი, საიდანაც გაგზავნა თავისი მოწინავე რაზმები ტაიძიხეს მარცხენა ნაპირით. 7 ივლისს ჩვენ დაჭრილთა ტრანსპორტს, რომელიც წითელ ჯვრის დროშით მიდიოდა ტაიძიხეს ხეობაში, ხუნხუზებმა სროლა აუტეხეს მდინარეს მარცხენა ნაპირიდან, მაგრამ ზარალი ვერ მიაყენეს.

პორტ-საიდი. („რეიტ. სააგ.“) აქ მოსული ინგლისის გემი „ცეილონ“-ი იუწყება, რომ 5 ივლისს რუსეთის გემმა „პეტერბურგ“-მა გააჩერა იგი სიგნალით, ჩვენება ჩამოართვა და შემდეგ ნება მისცა განეგრძო გზა. რუსეთის გემი გერმანიის სავაჭრო გემს გაჰყვა.

ბერლინი. „ჰამბურგ-ამერიკის“ გემთა საზოგადოება აცხადებს, რომ გემ „სკანდინ“-ის დაჭერის მიზეზი გაუგებარია, რადგან გემზე არ ყოფილა იაპონიისათვის დანიშნული სამხედრო მასალა. ომის დაწყებიდანვე საზოგადოებამ განსაკუთრებით დაავალა თავის წარმომადგენლებს, არ მიეღოთ გასაგზავნად სამხედრო კონტრაბანდათ გამოცხადებული ტვირთი.

შანხაი. („რეიტ. სააგ.“) შაიდან მიღებულ ცნობებით, მოკლულია ფრანგი ეპისკოპოზი, ერთი მღვდელი და ორი კათოლიკეთა სარწმუნოებაზე მოქცეული. ერთი მღვდელი დატყვევებულია. სიკანფუს ახლოს დასწვეს ორი სამლოცველო. შანიდან გამოიწვიეს 200 სალდათი.

ათინა. („ჰავასის სააგ.“). რუსეთის ნაღმიანი გემი, რომელიც პირეიში შეაკეთეს, დაეჯახა სამეფო გემს „ამფიტრიდა“-ს. ნაღმიან გემის წინა ნაწილი ცოტაოდნად დაშავებულია.

10 ივლისი

ელისავეტგრადი. 8 ივლისს მობრძანდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე. სადგურიდან ადგილობრივ საკავალერიო სასწავლებლის ბანაკში გაემგზავრა.

სოფია. (ოპოზიც. წრეებ.). მაკედონიის მცხოვრებნი სიხარულით ეგებებიან სამოქალაქო აგენტებს, რადგან თავისუფლად შეუძლიათ საჩივრების განცხადება. ადგილობრივ მმართველობას ბრძანება მოუვიდა სტამბოლიდან, შეადგინოს მსროლელთა 4 ბატალიონი, რომელთაც დახმარება უნდა გაუწიონ უცხოელთა ჟანდარმერიას მშვიდობიანობის აღდგენის საქმეში.—სამართალში მისცეს დამნაშავენი, რომელთაც გიუმენჯეში 33 სახლი დასწვეს.

სტამბოლი. (სპეციალური). უცხოელი ქვეშევრდომნი ენერგიულ პროტესტს აცხადებენ სადერბო ბაჟის შემოღების წინააღმდეგ, სანამ ეს ახალი დონის-ძიება დამტკიცებული არ იქნება დიდ სახელმწიფოთა ელჩების მიერ. ინგლისი თხოულობს ახალ კანონის ორის მუხლის შეცვლას. ოსმალეთი თანახმაა.

მოსკოვი. დღეს ხუხოვის სასაფლაოზე გადაიხადეს პანაშვიდი ნათესავებისა და სალიტერატურო-სარტისტო საზოგადოების წარმომადგენელთა დასწრებით.

მოსკოვში დაბრუნდა სამხრეთ სპარსეთიდან მოსკოვის სავაჭრო სახლების რწმუნებული ექსპედიცია. ბევრი საქონელია შეკვეთილი. მო წყო სავაჭრო დამოკიდებულება სპარსეთთან.

არხანგელსკი. 8 ივლისს სოლოვეცკის მონასტერმა იდღესასწაულა 50 წლის შესრულება უცხო ტომის მტერთაგან სასწაულებრივ განთავისუფლების შემდეგ. გადაიხადეს წირვა გუბერნატორისა და მრავალ მლოცავთა დასწრებით, ლიტანიით გაემართნენ მონასტრის [illegible] გალავანში. ზარების რეკა იყო. გაისროლეს ის ზარბაზნები, რომლებითაც 1854 წელს იგერიებდნენ ინგლისელებს, როცა უკანასკნელებმა ორ გემიდან დაუშინეს ყუმბარები მონასტერს.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ივლისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,95	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,65	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	$37,52^{1}/_{2}$	
ბირჟის დისკონტი	$6\text{-}7^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$	
$4^{0}/_{0}$ სახელმწიფო რენტა	$92^{1}/_{2}$	გაყ.
$4^{0}/_{0}$-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
$4^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$ შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
$4^{0}/_{0}$ გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	89	„
$5^{0}/_{0}$ 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	387	„
$5^{0}/_{0}$ მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	300	„
$5^{0}/_{0}$ გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	260	„
$5^{0}/_{0}$ ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
$4^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$ ობლ. იმავე საზოგად..	$81^{1}/_{2}$	
$5^{0}/_{0}$-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
$5^{0}/_{0}$ გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
$4^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
$6^{0}/_{0}$ გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
$5^{0}/_{0}$ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—	
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	$190^{1}/_{2}$	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისში, ელისაბედის ქუჩა № 19, სასტუმრო „ვერსალი“-ს პირდაპირ

იოსებ მაჭავარიანის

სახელოსნო

იღებს ყველანაირ შემოკვეთას როგორც სასტალაროსას, ისე სადურგლოსას, იქვე იყიდება კარგი თვისების ნივთები: სასადილო „ბუფეტები“, სტოლები და წიგნის შკაფები

კრიზისის გამოისობით დაკლებულ ფასებში. (10—6.—2)



СѢДЕЛЬН.

СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო საბრანიის ახლოს. (წ.—176—55)

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და იყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

მამულიშვილობა და მეცნიერება

ივ. ჯავახიშვილისა.

ფასი 15 კაპ. (10—6.—5)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

გამოვიდა და იყიდება

საბერძნეთის ძველი ისტორია,

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუკით. ფასი ერთი მან.

Доз. цензурою. 11 Іюля 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ობა. Электропеч. Груз. Изд. То—ва.